საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-34
2020 წლის 24 თებერვალი

ქ. თბილისი

„დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის №01-74 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „დიპლომატიური სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2019 წლის 2 მაისის №01-74 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 03/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 480040000.22.030.016194) დამტკიცებულ დიპლომატიური სამსახურის გავლის წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და 30-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 30^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 30^1. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების/საკონსულო დაწესებულებების მოსამსახურეთა მიერ უქმე დღეებით სარგებლობა

1. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა და საკონსულო დაწესებულებებმა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეები შესაძლებელია ჩაანაცვლონ ადგილსამყოფელი ქვეყნის უქმე დღეებით, რის შესახებაც უნდა შეატყობინონ სამინისტროს ხელმძღვანელობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უქმე დღეები უნდა განისაზღვროს შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობების/საკონსულო დაწესებულებების შინაგანაწესით.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეო საქმეთა მინისტრი **დავით ზალკალიანი**